

www.silknet.com

მის: თბილისი, წინამძღვრიშვილის 95; ტელ: 2 100 100, ელ.ფოსტა: info@silknet.com

დანართი N -2-

თბილისი და რეგიონები

--/2018 წ

აბონენტი _____

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:**• აქციის დასახელება – DSL / ოპტიკური "ბუსტი"****• აქციის პირობები:**

1. აქცია „ბუსტის“ ფარგლებში, DSL და ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების აბონენტებისათვის (გარდა P2P აბონენტებისა) განისაზღვრება აქციის (DSL / ოპტიკური „ბუსტი“) შემდეგი პირობები:
 - 1.1. აქციის ფარგლებში DSL და ოპტიკური „ბუსტის“ პირობები ვრცელდება შემდეგ აბონენტებზე:
 - 1.1.1. ოპტიკური (გარდა P2P) ინტერნეტის ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებული მომსახურებების/სპეციალური შეთავაზებით (რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტს) მოსარგებლე აბონენტები და პირები რომლებიც აპირებენ ამ მომსახურებით სარგებლობას;
 - 1.1.2. DSL ინტერნეტის ან სპეციალური შეთავაზებით (რომელიც მოიცავს DSL ინტერნეტს) მოსარგებლე აბონენტები, გარდა იმ აბონენტებისა, რომლებსაც მიეწოდებათ DSL სარეგულარო არხით მისაწოდებელი პაკეტები;
 - 1.2. აქციის ფარგლებში, 1.1. პუნქტით განსაზღვრულ აბონენტებს გაუაქტიურდებათ დამატებითი ინტერნეტ სიჩქარე სახელწოდებით DSL / ოპტიკური „ბუსტი“. „ბუსტის“ აქციის ფარგლებში მიწოდებადი ინტერნეტ სიჩქარე და ყოველთვიური ღირებულება განისაზღვროს წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად. „ბუსტის“ გააქტიურების პირობები განისაზღვრება N1 ცხრილის შესაბამისად:
 - 1.2.1. N1 ცხრილით განსაზღვრული ოპტიკური „ბუსტის“ გააქტიურება შესაძლებელია ოპტიკური ინტერნეტის ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებული მომსახურებების კომბინაცი(ებ)ის/სპეციალური შეთავაზებ(ებ)ის (რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტს) ნებისმიერ პაკეტზე, გარდა „ფორმულა 1“ პაკეტისა (ან შეთავაზებისა, რომელიც მოიცავს პაკეტს „ფორმულა 1“); 1
 - 1.2.2. N1 ცხრილით განსაზღვრული DSL „ბუსტის“ გააქტიურება შესაძლებელია DSL ინტერნეტის ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებული მომსახურებების კომბინაცი(ებ)ის/სპეციალური შეთავაზებ(ებ)ის (რომელიც მოიცავს DSL ინტერნეტს) ნებისმიერ პაკეტზე, თუ ტექნიკურად შესაძლებელია მომატებული სიჩქარის მიწოდება. (DSL „ბუსტის“ აქციის ფარგლებში აბონენტებს მოემატებათ ის სიჩქარე (1, 2 ან 3 მბ/წმ), რომლის მიწოდებაც იქნება შესაძლებელი აბონენტის მისამართზე არსებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით). არ არის შეზღუდული, აბონენტის სურვილის შემთხვევაში, DSL „ბუსტის“ სიჩქარის ცვლილების შესაძლებლობა, თუ ტექნიკურად შესაძლებელია სხვა (მომატებული) სიჩქარის „ბუსტის“ მიწოდება.“
 - 1.3. აქციის პირობით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება **2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;**
 - 1.4. აქციის პირობით ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება 1.3. პუნქტით განსაზღვრული პერიოდის დასრულებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადით;
 - 1.5. იმ შემთხვევაში, თუ ინტერნეტ მომსახურებაზე (ან შეთავაზებაზე, რომელიც მოიცავს ინტერნეტს) რეგისტრირებული ახალი აბონენტი, რომელსაც აქციის პირობით უნდა გაუაქტიურდეს აქცია „ბუსტი“, აქციის პირობით რეგისტრაციის პერიოდის დასრულების შემდეგ, მაგრამ დარეგისტრირებული მომსახურებების ინსტალაციამდე, იმავე ანგარიშზე დამატებით დაარეგისტრირებს ერთ ან რამდენიმე მომსახურებას, გარდა დამატებითი სილქ ტვ მომსახურებისა (ან მომსახურების დამატებით ერთვება ორმაგ/სამმაგ შეთავაზებაში), აქციის პირობებით ვერ ისარგებლებს;

- 1.6. აქცია „ბუსტის“ მოქმედების პერიოდი განისაზღვროს შემდეგნაირად:
 - 1.6.1. აბონენტებს რომელიც 2017 წლის 5 იანვრამდე დარეგისტრირდნენ „ბუსტზე“ აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება მისი გააქტიურებიდან (ახალი აბონენტებისათვის კი - აქციის პირობით დარეგისტრირებული მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის დღიდან) 18 (თვრამეტი) კალენდარული თვის ვადით;
 - 1.6.2. აბონენტებს რომელიც 2017 წლის 5 იანვრიდან დარეგისტრირდნენ „ბუსტზე“ აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება მისი გააქტიურებიდან (ახალი აბონენტებისათვის კი - აქციის პირობით დარეგისტრირებული მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის დღიდან) 24 (ოცდაოთხი) კალენდარული თვის ვადით;
- 1.7. „ბუსტის“ აქტივაცია/დეაქტივაცია შესაძლებელია განხორციელდეს „სილქნეტის“ მომსახურების ცენტრში მსურველი პირის მიერ შესაბამისი განაცხადის შეტანის გზით, ან ცხელ ხაზზე დარეკვითა და სატელეფონო განაცხადის გაკეთებით, კოდური სიტყვის გამოყენებით;
- 1.8. „ბუსტის“ აქტივაციის მომენტისთვის DSL/ოპტიკური ინტერნეტ მომსახურება ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებული მომსახურებები/სპეციალური შეთავაზება (რომელიც მოიცავს ინტერნეტს), არ უნდა იყოს დავალიანების გამო შეზღუდული. „ბუსტის“ აქტივაცია დასაშვებია დროებით შეჩერებულ (არა დავალიანების გამო) DSL/ოპტიკური ინტერნეტ მომსახურებაზე (ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებულ მომსახურებებზე/სპეციალურ შეთავაზებაზე, რომელიც მოიცავს ინტერნეტს); დროებით შეჩერებულ DSL/ოპტიკური ინტერნეტ მომსახურებაზე (ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებულ მომსახურებებზე/სპეციალურ შეთავაზებაზე, რომელიც მოიცავს ინტერნეტს) „ბუსტის“ აქტივაციისას, აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა დაიწყება, „ბუსტის“ რეგისტრაციის მომენტიდან;
- 1.9. „ბუსტი“-ს აქტივაციისას, მისი მიწოდება მოხდება 1.6. პუნქტით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში უწყვეტად, თუ აბონენტი არ მოახდენს აღნიშნული აქციის დეაქტივაციას;
- 1.10. „ბუსტის“ აქციის მოქმედების პერიოდში დეაქტივაცია შესაძლებელია, როგორც აქტიური, ასევე შეზღუდული მომსახურების დროს; არ არის შეზღუდული „ბუსტის“ დეაქტივაციის/აქტივაციის რაოდენობა საანგარიშო თვის განმავლობაში.
- 1.11. იმ შემთხვევაში, თუ „ბუსტის“ მოქმედების პერიოდში ინტერნეტ მომსახურება (ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებული მომსახურებები/სპეციალური შეთავაზება, რომელიც მოიცავს ინტერნეტს) შეიზღუდება, „ბუსტის“ აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ შეწყდება და აქციით გათვალისწინებული პირობებით სარგებლობის ვადა არ დაექვემდებარება ცვლილებას;
- 1.12. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება ოპტიკური ინტერნეტის ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებული მომსახურებების/სპეციალური შეთავაზების (რომელიც მოიცავს ინტერნეტს) პაკეტის ცვლილების შესაძლებლობა; პაკეტის ცვლილების ან სპეციალურ შეთავაზებაში ჩართვის, ან შეთავაზების დაშლის შემთხვევაში (იმ პაკეტზე/შეთავაზებაზე გადასვლისას, რომელზეც ვრცელდება აქციის პირობები) აბონენტს შეუწინაღობდება აქციის პირობები; ინტერნეტ პაკეტის ცვლილებისას „ბუსტის“ აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ შეწყდება და აქციით გათვალისწინებული პირობებით სარგებლობის ვადა არ დაექვემდებარება ცვლილებას;
- 1.13. „ბუსტის“ აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება DSL ინტერნეტის ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებული მომსახურებების/სპეციალური შეთავაზების (რომელიც მოიცავს ინტერნეტს) პაკეტის ცვლილების შესაძლებლობა. პაკეტის ცვლილების ან სპეციალურ შეთავაზებაში ჩართვის, ან შეთავაზების დაშლის შემთხვევაში, აბონენტს შეუწინაღობდება DSL „ბუსტის“ აქციის პირობები, თუ ინტერნეტ მომსახურებაზე კონკრეტულ მისამართზე ტექნიკურად შესაძლებელია მომატებული სიჩქარის მიწოდება. მომსახურების პაკეტის ცვლილებისას DSL „ბუსტის“ აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება და აქციით გათვალისწინებული პირობებით სარგებლობის ვადა არ ექვემდებარება ცვლილებას;
- 1.14. აქციის მოქმედების პერიოდში, DSL/ოპტიკური ინტერნეტის ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებული მომსახურებების/სპეციალური შეთავაზების (რომელიც მოიცავს ინტერნეტს) დროებით შეჩერების უფლება არ იზღუდება. დროებით შეჩერების შემთხვევაში (მათ შორის, დროებით შეჩერებულ მომსახურებაზე „ბუსტის“ რეგისტრაციისას), აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება და აქციით გათვალისწინებული პირობებით სარგებლობის ვადა არ ექვემდებარება ცვლილებას;
- 1.15. თუ აბონენტის მიერ განხორციელდება ოპტიკური ინტერნეტის (ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებული

მომსახურების/სპეციალური შეთავაზების, რომელიც მოიცავს ინტერნეტს) მომსახურების მიწოდების მისამართის ცვლილების რეგისტრაცია, აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდში, აღნიშნული მომსახურების რეგისტრაცია განხორციელდება წინამდებარე აქციის პირობებით. "ბუსტის" მოქმედების ვადის ათვლა დაიწყება ახალ მისამართზე ინსტალაციის დღიდან;

- 1.16. DSL ინტერნეტის (ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებული მომსახურების/სპეციალური შეთავაზების, რომელიც მოიცავს ინტერნეტს) მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, შეიზღუდება აქციის პირობები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილება განხორციელდება ისე, რომ აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ იქნება დასრულებული, აქციის პირობებით ხელახალი რეგისტრაცია განხორციელდება ახალ მისამართზე; „ბუსტის“ აქტივაცია განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ახალ მისამართზე მომატებული სიჩქარის მიწოდება ტექნიკურად შესაძლებელი იქნება;
- 1.17. აბონენტის მიერ ტექნოლოგიის ცვლილების რეგისტრაციისას, თუ „ბუსტის“ აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, განხორციელდება შეცვლილი ტექნოლოგიით მომსახურების ამ აქციის პირობებით რეგისტრაცია. „ბუსტის“ მოქმედების ვადის ათვლა დაიწყება ახალ ტექნოლოგიაზე ინსტალაციის დღიდან;
- 1.18. „ბუსტის“ აქციაზე ვრცელდება DSL/ოპტიკური ინტერნეტის ან ერთ ანგარიშზე რეგისტრირებული მომსახურების/სპეციალური შეთავაზების (რომელიც მოიცავს ინტერნეტს) პროდუქტით განსაზღვრული დარიცხვის, გადახდის და მომსახურების შეზღუდვის სტანდარტული პირობები;
- 1.19. წინამდებარე აქციისა და სხვა აქციების პირობებით ერთდროულად სარგებლობის შესაძლებლობა არ იზღუდება, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი გამონაკლისი შემთხვევებისა:
 - 1.19.1. Dream პაკეტზე მოქმედი აქცია, რომელშიც ჩართული აბონენტების ინტერნეტ პაკეტის სიჩქარე არ არის 50 მბ/წმ.; Dream პაკეტის და იმ აქციით ჩართული აბონენტები, რომელთა ინტერნეტ სიჩქარემ მიაღწია 50 მბ/წმ-ს, სარგებლობენ წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული აქციით;
 - 1.19.2. თბილისში, ოპტიკური ინტერნეტის არსებული და ახალი აბონენტებისთვის მოქმედი აქცია - "20 მბ/წმ-ით მეტი სიჩქარე" პირობების განსაზღვრის შესახებ.

ცხრილი N1.

DSL ბუსტი	
მომსახურების სიჩქარე	ყოველთვიური ღირებულება ლარში
3 მბ/წმ-მდე	გათვალისწინებულ ია ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო გადასახდელში
ოპტიკური ბუსტი	
მომსახურების სიჩქარე	ყოველთვიური ღირებულება ლარში
10 მბ/წმ	4.00 ლარი

მზარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____
 აბონენტი _____